

**სამოქალაქო ბიუჯეტი გორში
(ქალაქში და სოფლებში ერთად)**

**ერთწლიანი განვითარების გეგმა
საპროექტო ინიციატივების შერჩევა კონსულსის წესით**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განვითარების პროგრამა

სამოქალაქო ბიუჯეტი დემოკრატიის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის ან ქალაქის განვითარების მიმართულელების განსაზღვრა. ამის საშუალებას იძლევა სამოქალაქო ბიუჯეტი.

სამოქალაქო ბიუჯეტი – არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. მოქალაქეთა ბიუჯეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ თუ რაში დაიხარჯება ქალაქის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ანუ თავად დაგეგმონ პროექტები მომავალი წლის ბიუჯეტში და თვალყური ადევნონ მის განვითარებას.

1. პროგრამის მიზანი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განვითარების პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა და მათი ინტერესის გათვალისწინებით გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტული პროექტების შემუშავება.

2. პროგრამის განხორციელების არეალი

პროგრამა ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რისთვისაც მუნიციპალიტეტში შემავალი 33 ადმინისტრაციული ერთეული დაჯგუფებული არის 28 ზონად:

1. ცენტრალური დასახლება

2. კომბინატის დასახლება

3. ჭალა-წყაროსუბნის და სადგური-ელექტროფიკაციის დასახლება

4. წმინდაწყლის დასახლება

5. ვერხვებისა და კვერნაქის დასახლება

6. ვერხვების დევნილობა ჩასახლება
7. ბერბუკი
8. კარალეთი
9. შავშეები
10. მეჯვრისხევი
11. მერეთი
12. სკრა
13. ტირძისი
14. დიცი
15. ტინისხიდი
16. ვარიანი
17. ქვახვრელი
18. შინდისი
19. ძევერა
20. ზელდულეთი
21. ახალუბანი
22. ატენი
23. ნიქოზი
24. მღებრიანი
25. ბოშური
26. საყავრე
27. ტყვიავი
28. ხიდისთავი

3. პროგრამის მართვა

- 3.1. გორის მუნიციპალიტეტის მერიის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განვითარების პროგრამას ხელმძღვანელობს გორის მუნიციპალიტეტის მერი, ხოლო საერთო კოორდინაციას უწევს მის მიერ დანიშნული პროგრამის მთავარი კოორდინატორი;
- 3.2. სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის საინფორმაციო და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო.
- 3.3. პროგრამის განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მუნიციპალიტეტში იქმნება „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“
- 3.4. პროგრამის მთავარი კოორდინატორის თავისი საქმიანობით უზრუნველყოფს:
 - გორის მუნიციპალიტეტის დონეზე პროგრამაში ჩართული ყველა ერთეულის საქმიანობათა კოორდინაციისა და კომუნიკაციას;
 - მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების მხრიდან დროულ და ეფექტიან პროგრამის ტექნიკურ მხარდაჭერასა და ექსპერტიზის განხორციელებას;
 - პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშგების მომზადებასა და გორის მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენას;
 - და სხვა საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება პროგრამის ეფექტიან განხორციელებაზე.
- 3.5. პროექტის ფარგლებში დაყოფილ ზონებზე იქნება წარმოდგენილი კოორდინატორი, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის სახით. იგი თავისი საქმიანობით უზრუნველყოფს :

- ადმინისტრაციულ ერთეულის დონეზე პროგრამის კოორდინაციას;
- „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განვითარების პროგრამის მიზნებისა და სამუშაო წესების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას;
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას;
- მისპასუხიანობას დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულში ხელს უწყობს მოსახლეობის მიერ „წარმომადგენლობითი საბჭოს“ ფორმირებას, საბჭოს ეფექტიანი მუშაობას და ანგარიშგებას;
- და სხვა საქმიანობებს, რომელიც მიმართული იქნება პროგრამის ეფექტიან განხორციელებაზე.

3.6. სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს ფორმირებას უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის მერი.საბჭო ფორმირდება გორის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს წარმომადგენლ(ებ)ისაგან.

სამოქალაქო „ბიუჯეტის საბჭოს“ ფუნქციას წარმოადგენს:

- მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების ტექნიკური ანალიზი და შესაბამისი „წარმომადგენლობითი საბჭოსათვის“ დასამტკიცებლად წარდგენა;
- პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგი და ჩატარებული სამუშაოთა ეფექტიანობისა და ხარისხის საბოლოო შეფასება;
- და სხვა საქმიანობები, რომელიც მიმართული იქნება პროგრამის ეფექტურ განხორციელებაზე.

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“ წარმოდგენილსაპროექტო ინიციატივებს განიხილავს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განხორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები);
- ბ) ტექნიკური ასპექტები (ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საპროექტო ინიციატივების განხორციელება);
- გ) ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება და შესაძლებლობების განსაზღვრა);
- დ) პროექტის განხორციელების ვადები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობების ფარგლებში);
- ე) ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების აქტუალობა ადმინისტრაციული ერთეულების მაცხოვრებელთათვის რამდენად აქტუალურია);

3.7. „წარმომადგენლობითი საბჭოს“ ფორმირებას უზრუნველყოფს ზონის კოორდინატორი. საბჭოს წევრთა რაოდენობა შეზღუდული არ არის და იგი უნდა შედგებოდეს თითოეულ ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი დასახლებებიდან, უბნებიდან, ამავე დასახლებებში და უბნებში მცხოვრებთა მიერ შერჩეული არანაკლებ ორი მოქალაქისაგან, საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თამეჯდომარე, რომელიც აირჩევა ხმათა უმრავლესობით წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, ხოლო მდივანია ზონის კოორდინატორი. წარმომადგენლობითი

საბჭო კონსესუსის საფუძველზე (შეთანხმებისამებრ), შეარჩევს კონკრეტულ საპროექტო ინიციატივას, რომელიც ამ პროგრამის 5.3 პუნქტის შესაბამისად იგზავნება გორის მუნიციპალიტეტის მერიაში.

წარმომადგენლობითი საბჭო:

- ახორციელებს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების შინაარსობრივანალიზს და შერჩეულ საპროექტო ინიციატივებს წარადგენს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოში .
- მონიტორინგს უწევს პროექტის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელებას;
- ასევე სხვა საქმიანობას, რომელიც მიმართული იქნება პროგრამის ეფექტურ განხორციელებაზე;

3.8. აღნიშნული საქმიანობა შე

3.9. შესაძლებელია განხორციელდეს საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად.

4. პროგრამის ბიუჯეტი და პროექტების დაფინანსების წესი

4.1. გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამისთვის განისაზღვრება 2,800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარის ოდენობის დაფინანსება. წარმოდგენილი თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მაქსიმალურ ჯამურ დაფინანსების ოდენობას.

4.2. პროგრამით განსაზღვრული 28 ზონისათვის მაქსიმუმ გამოიყოფა 100,000 (ასი ათასი) ლარი. აღნიშნული თანხიდან, მოსახლეობის ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს ერთი, ან ორი პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ადმინისტრაციული ერთეულისთვის (ზონისათვის) გამოყოფილ თანხას, ასევე ერთი საპროექტო ინიციატივის ღირებულება არ უნდა იყოს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარზე ნაკლები ღირებულების. ბიუჯეტის განსაზღვრის საბოლოო ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია საპროექტო ინიციატივამ, მისი ტექნიკური და ფინანსური ხასიათიდან გამომდინარე, განიცადოს კორექტირება;

4.3. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების ჯამური თანხა თითოეული ზონისათვის პროგრამით გამოყოფილი თანხაზე (100 000 ლარზე) ნაკლებია, დაჩენილი ნაშთი რჩება გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

5. პროგრამის ძირითადი მოთხოვნები

5.1. „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18წლის ასაკს მიღწეულქმედუნარიან მოქალაქეს;

5.2. მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი საპროექტო ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც არ სცილდება გორის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილებას, არ აღემატება კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულისთვის (ზონისათვის) გამოყოფილ თანხას და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

მათ შორის:

- ინფრასტრუქტურული;
- ახალგაზრდული;
- საგანმანათლებლო;
- კულტურული;
- სოციალური;
- სპორტული;

- 5.3. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით (იხ. დანართი N2), რომლიც უნდა გამოიგზავნოს მუნიციპალიტეტის ელ-ფოსტის მისამართზე samokalakobiujeti.gori@gmail.com ან შემოტანილ იქნას მერიის ადმინისტრაციის შენობაში, კანცელარიაში საპროექტო ინიციატივის ავტორის, ზონის კოორდინატორის ან გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქის მეშვეობით, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში. სააპლიკაციო ფორმები ხელმისაწვდომი იქნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილებაში და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე gori.gov.ge
- 5.4. პროგრამის მსვლელობა და მიმდინარეობა გამოიკვრება გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე, მუდმივად გაშუქდება გორის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://gori.gov.ge>, სოციალური ქსელის, ფეისბუქის გვერდზე, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით სხვადასხვა შეხვედრებზე და ა.შ. ასევე ინფორმაცია გადაეცემათ ადმინისტრაციული ერთეულების კოორდინატორებს, რომლებიც მოახდენენ მოსახლეობის, საინიციატივო წინადადების ავტორების ინფორმირებას პროცესის მსვლელობის და შედეგების თაობაზე.

6. ინტერესთა კონფლიქტი

- 6.1. დაუშვებელია სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტში ჩართულ მხარეთა საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტი. იმისდა მიხედვით რომელი პიროვნება რა პროცესებშია ჩართული სავალდებულოა საჯაროდ განცხადება იმ შემთხვევაში თუ მის მიერ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მის შედეგებზე ნებისმიერი სახით გავლენის მოხდენა.

7. სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის წარდგენის წესი:

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში საინიციატივო პროექტების წარდგენა ხორციელდება 6 ეტაპად.

I ეტაპი:

მიმდინარე წლის 15 აპრილიდან – 31 მაისის ჩათვლით -- სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე, ზონის კოორდინატორი, მთავარ კოორდინატორთან ერთად მის პასუხისმგებლობას დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალთითოეულ დასახლებულ პუნქტში ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს (არანაკლებ ერთ შეხვედრისა), სადაც მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების მიზნებზე და არსებულ შესაძლებლობებზე საინიციატივო წინადადებების წარდგენის წესებზე. საჭიროებისამებრ, ეხმარება მოსახლეობას პრობლემებისა და პრიორიტეტების გამოვლენაში.

II ეტაპი:

მიმდინარე წლის 3 ივნისიდან – 28 ივნისის ჩათვლით — ადმინისტრაციულ ერთეულებში განაცხადის შევსების სპეციფიკის „ვორქშოპი“ დაინტერესებული მოსახლეობისათვის. ზონის კოორდინატორები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად გამართავენ სამუშაო შეხვედრებს დაინტერესებული მოსახლეობისათვის საპროექტო ინიციატივების სააპლიკაციო ფორმის შევსებისათვის.

III ეტაპი:

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით -- მოქალაქეები მუნიციპალიტეტში აგზავნიან სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში საპროექტო ინიციატივების განაცხადის სააპლიკაციო ფორმებს. ზონის კოორდინატორი, მთავარ კოორდინატორთან ერთად ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრებლებს, საჭიროებისამებრ, ეხმარება სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადების სააპლიკაციო ფორმის შევსებაში. განაცხადების მიღების პერიოდში, მთავარი კოორდინატორი ამოწმებს წარმოდგენილ საპროექტო ინიციატივების განაცხადების ტექნიკურ სისწორეს.

IV ეტაპი:

მიმდინარე წლის 5 აგვისტოდან 23 აგვისტომდე -- პროექტის მთავარი კოორდინატორის საპროექტო ინიციატივების განაცხადებს წარუდგენს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს“ სხდომაზე განსახილველად. სადაც საპროექტო ინიციატივები განიხილება ტექნიკური, ფინანსური სამართლებრივი, სამუშაოების განხორციელების ვადების და აქტუალობის გადამოწმების თვალსაზრისით. მოწონებულ, გადამოწმებულ საპროექტო ინიციატივებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“ გადასცემს კოორდინატორს ზონების „წარმომადგენლობით საბჭოებზე“ საბოლოოდ განხილვის მიზნით.

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“ წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განხორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივები);
- ტექნიკური ასპექტები (ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია საპროექტო ინიციატივების განხორციელება);
- ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება და შესაძლებლობების განსაზღვრა);
- პროექტის განხორციელების ვადები (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განხორციელების სავარაუდო ვადების თავსებადობა შესაძლებლობების ფარგლებში);
- ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს (წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების აქტუალობა ადმინისტრაციული ერთეულების მაცხოვრებელთათვის რამდენად აქტუალურია);

ყოველი საპროექტო წინადადებაზე ტარდება კენჭისყრა და დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო საბჭოს ხმათა არანაკლებ 50% +1.

V ეტაპი:

მიმდინარე წლის 26 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე – „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს“ მიერ მოწონებული საპროექტო ინიციატივებიდან „წარმომადგენლობითი საბჭოს“ მიერ, პროგრამის პირველ ეტაპზე გამოვლენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით, კონსესუსის საფუძველზე (შეთანხმებისამებრ), შეირჩევა კონკრეტული საპროექტო ინიციატივა, რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ წარედგინება ზონის კოორდინატორს, ხოლო ზონის კოორდინატორი წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემდგომი წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

VI ეტაპი:

მიმდინარე წლის 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე – გამარჯვებული საპროექტო ინიციატივების შესახებ, მთავარი კოორდინატორის მიერ ეცნობება გორის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც თავის მხრივ ერთობლივად აცნობებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს“, გამარჯვებული პროექტების სტატისტიკური აღრიცხვისათვის, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, მომავალი წლის დასაგეგმ ბიუჯეტში გათვალისწინებისათვის დამთავარ კოორდინატორს, გამარჯვებული პროექტების საჯარო გამოქვეყნებისათვის.

სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმა



2020 წლის ბიუჯეტში დასაგეგმი საპროექტო ინიციატივა

გორის მუნიციპალიტეტი მე ვგეგმავ ჩემი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს!

✓ აღნიშნეთ და შემოხაზეთ იმ ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება, სადაც ფიქრობთ პროექტის განხორციელებას

ცენტრი	<input type="checkbox"/>	ტინისხიდის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
ვერხვები-კვერნაქი.....	<input type="checkbox"/>	ვარიანის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
კომბინატის დასახლება.....	<input type="checkbox"/>	ქვახვრელის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
ჭალა-სადგური.....	<input type="checkbox"/>	შინდისის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
წმ. წყალის დასახლება.....	<input type="checkbox"/>	ძევერის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
ვერხვ. დევნილთა დასახლება.	<input type="checkbox"/>	ზედდულეთის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
ბერბუკის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>	ახალუბანის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
კარალეთის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>	ატენის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
შავშვების ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>	ნიქოზის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
მეჯვრისხევის ად. ერთეული..	<input type="checkbox"/>	მღებრიანის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
მერეთის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>	ბოშურის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
სკრის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>	საყავრეს ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
ტირძნისის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>	ტყვიავის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>
დიცის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>	ხიდისთავის ად. ერთეული.....	<input type="checkbox"/>

(განცხადების წარდგენის ვადებია 2019 წლის 1 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით)
საპროექტო ინიციატივის ან/და ინიციატივების სავარაუდო ღირებულება არ უნდა სცილდებოდეს
50 000 ლარს ან/და არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს

განმცხადებლის პირადი ინფორმაცია

სახელი _____ გვარი _____

პ/ნ

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

მისამართი _____

ტელეფონი _____

ელ-ფოსტა: _____

საპროექტო ინიციატივის დასახელება (პირობითად დარქმეული სათაური)

პროექტის განხორციელების ადგილის მისამართი და საკადასტრო კოდი, ან მისი მახლობელი საკადასტრო კოდი სიზუსტისთვის. პროექტის სავარაუდო განზომილებითი რაოდენობის მითითებით (ფართობი, სიგრძე, სიგანე და ა.შ.)

საპროექტო ინიციატივის მოკლე დახასიათება – *(აღწერეთ, თუ რა პროექტის განხორციელება გსურთ, რა უნდა აშენდეს, მოეწყოს, ან რეაბილიტირებულ იქნეს, ან გარემონტდეს და რა პრობლემები აღმოიფხვრება ამით)*

პროექტის მომხმარებელთა (ბენეფიციართა) სავარაუდო რაოდენობა და კატეგორია მოკლედ *(აღნიშნეთ, პროექტი განხორციელების შემთხვევაში, ვის მოემსახურება და სავარაუდოდ რა რაოდენობას)*

საპროექტო ინიციატივის განსახორციელებლად მოთხოვნილი სავარაუდო თანხა:

სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მიერ დაზუსტებული სავარაუდო თანხა:

სამუშაოების ჩატარების სავარაუდო დრო (კალენდარული დღე, ან თვე) _____

იმ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მხარდამჭერი მოქალაქეების ხელმოწერა, სადაც განხორციელდება პროექტი (მინიმუმ 10 ხელმოწერი)

სახელი გვარი , პირადი ნომერი	მისამართი/ტელეფონი	ხელმოწერა

განმცხადებლის დამატებითი აზრი, ან შენიშვნა:

საპროექტო ინიციატივის ავტორის ხელმოწერა _____

საპროექტო ინიციატივის შემომტანი _____

თარიღი: 2019 წლის _____